№ 3

ფასი 10 მანეთი

დაარსების წლიწადი მეათე, გამოცემის მერვე

გაუმარჯოს თავისუფალ ხელოვნებას თავისუფალ საქართველოში!
გაუმარჯოს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას!

„თეატრი და ცხოვრება“

წლიურად 100 მან., ნახევარი წლით 60 მან. თითო ნომერი—10 მან. ხელის მოწერა მიიღება: თბილისში, ბაზრის ქუჩა № 20 ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ; ფოსტით: თბილისი, რედაქცია „თეატრი და ცხოვრება“ იოსებ იმედაშვილს. ტელეფონი № 4—73.

სათეატრო, სალიტერატურო, სამუსიკო, სამხატვრო და საზოგადოებრივ შინაარსის ყოველკვირეული ჟურნალი.

დაარსდა 1910 წ. | კვირა, იანვრის 25 | გამოსვლა 1920 წ.



# სახელოვანი დედა

შუაზე დედა ნოე ჟორდანიასი—ქრისტინე მანუჩარ ჩიქოვანის ასული,—ახლა სოფელშია, ნოეს დაი გულჩინა კანდელაკისა (გარდაიც. 1917 წ.) და თვით ნოე

(სურათი გადაღებულია 20 წ. წანად).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სადღეისოდ

## დრამატ. საზ-ის კრება.

ვიდრე ჩვენი სამშობლო რუსეთის კლანჭებში იწურთებოდა, ქართული თეატრი ფხიანად მუშაობდა, მისი მესვეური დრამატიული საზოგადოება ასე თუ ისე საქმობდა. რევოლიუციის ხანაში მისი საქმიანობა მიდუნდა: ქართული თეატრი თითქო მეტი ბარგი შეიქმნა, ქართველი მსახიობი გაფერმკრთალდა.

ამას თვის მიზეზიც აქვს; სხვათა შორის ყველა ცოცხალი ძალა პოლიტიკამ გაიტაცა, ხელოვნება-კი დავიწყებას მიეცა. დღეს, როდესაც მთელი ქართველი ერის ნანატრი ოცნება განხორციელდა—საქართველო უფლებამოსილი დამოუკიდებელი სახელმწიფო შეიქმნა, ხელოვნებამაც, განსაკუთრებით დრამატიულმა ხელოვნებამ, თავისი კუთვნილი ადგილი უნდა დაიჭიროს ჩვენს სამშობლოში.

დრამ. საზ-ის სადღეისო კრებამ მტკიცე საძირკველი უნდა ჩაუყაროს ერთ მთლიან უფლება-მოსილ დაწესებულებას, რომელიც თვალყურს ადევნებს არა მხოლოდ თბილისის ან ქუთაისის დასების საქმიანობას, არამედ სრულიად საქართველოს სცენის მოქმედებას.

ქართველი ერის სულის სამეუფოს—ქართულ ხელოვნების ტაძრების მოწყობას დღეს უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს. ქართული სათეატრო ხელოვნება არა მხოლოდ დაბა-სოფლებშია გამასხარავებული, არამედ დიდს ქალაქებშიაც ვერ არის სასურველ დონეზე.

ამას კი მზრუნველი უნდა არა მხოლოდ სხვათა შორის „მოსაქმე“ ხელისა, არამედ საგანგებო, საკუთარი, მიჩენილი კაცისა. ქართულმა თეატრმა მთელ საქართველოში საერთო გეგმით უნდა დაიწყოს მუშაობა და, აი, სწორედ ასეთ მუშაობის მესვეურ გამგეობას უნდა ჩაეყაროს დღეს საძირკველი.

საერთო გეგმის შესამუშავებლად და სცენის მოღვაწეთა საქმიანობის გასაცნობად საჭიროა მოწვეულ იქმნეს სრულიად საქართველოს სცენის მოღვაწეთა ყრილობა. ამ ყრილობამ უნდა წარმოთქვას თვისი სარწმუნო სიტყვა და საზღვარი დაუდოს ხელოვნების იმ გაპამპულავებას, რაიც დღემდე ხდება.

დედაქალაქსა და მოზრდილ ქალაქებში—ქუთაისს, ბათომს, სოხუმს, ფოთს, ლანჩხუთს, ხაშურს და სხ. აგრეთვე ბაქოში რომ მუდმივი დასები უნდა გვყავდეს, ამაზე სიტყვა ზედმეტია.

ვისურვებთ, დღევანდელი კრება ყოფილიყოს საქმითი, იმ ბურუსის გამფანტველი, რაც დრამ. საზ-ის ირგვლივ დაგროვდა, და ნამდვილი მოჭირნახულე ქართული თეატრისა.

**იოსებ იმედაშვილი**

# მოწოდება (მანიფესტი) *)

საქართველო აღსდგა მკვდრეთით, უფლებით დიდთა სახელმწიფოთა თანასწორი შეიქმნა.

საჭიროა შინაარსითაც გაუთანასწორდეს მოწინავე სახელმწიფოთ.

საქართველოში ცხოვრების ყოველი დარგი უნდა განვითარდეს, გათვითთავადდეს, საკუთარი იერით დაწინაურდეს, რომ სამშობლო ჩვენი დაწინაურებულ ქვეყნების ღირსეული თანამეგზაური შეიქმნეს.

ხელოვნებამაც ფრთა უნდა გაშალოს: წინაპართა სულიერი ცეცხლი გააღვივოს, მოსძებნოს თავისი მეობის სათავე და ახლად შობილ, მკვდრეთით აღმდგარ საქართველოს სხივოსნობა მით გამოაჩინოს.

თუ ხელოვნება არ ამაღლდა და მისი სხივოსნობა მთელს ერს არ მოეფინა—თუ ხალხი ნივთიერ განვითარებასთან ერთად სულიერადაც არ აღორძინდა, ქართველი ერი ვერ შეიქმნება სრული გვირგვინოსანი.

ჩვენმა წინაპრებმა ხელოვნების საშუალებით ჩამოაქანდაკეს ჩვენი ერის სული, ჩვენმა თაობამ ქართველობა პოლიტიკურად გაათვითცნობიერა და სამშობლო უცხოთა უფლებრივ-ნივთიერ კლანჭებისგან იხსნა, ახალმა თაობამ უნდა იკისროს ამ ერის სულიერ მონობისგან განთავისუფლება.

ეს კი ხელოვნებით ძალუძს.

უბიწოო სიყვარული, უმწიკვლო სიმშვენიერე, მარად წინსვლა, ცხოვრების გალამაზება ადამიანთა ასამაღლებლად,—აი რა უნდა იყოს დანიშნულება-მიზანი ჩვენთა ხელოვანთა.

უნდა განახლდეს ჩვენის ხელოვნების ყოველი დარგი: დრამატურგია ძველი კალაპოტიდან ამოვიდეს, თეატრმა ცხოვრების რაობა, ადამიანის სულის ვითარება უჩვეულო ფერით გადმოშალოს, პოეზიამ უმაღლესი განცდანი აღმონაქვსოს, მუსიკამ ნაცარ მიყრილი სული ერისა ჩამოჰქნას, ქანდაკება-მხატვრობამ ხალხი თვალ-ტანად გააბუმბერაზოს, ცხოვრების ნეტარი ყაიდა უჩვენოს.

საერთოდ ხელოვნების ყოველმა დარგმა მშობლიური სულით ახალი კვალი გაავლოს მსოფლიო ოჯახში შესასვლელად...

ქართველმა ხელოვანმა კაცობრიობას ახალი სიტყვა უნდა უთხრას...

და ეს მაშინ იქნება, ოდეს ქართველი ხელოვანნი ერთ ძალას შეჰქმნიან და ხელოვნების სამსახურს ღვთაებრივ მოვალეობად დაისახავენ.

*) პირველად წაკითხული ქ. ლანჩხუთში „თეატრი და ცხოვრება-“ს საღამოზე, იანვ. 19-ს.

ავტ.



**სოლომონ მეფე**

რუსეთის შეურიგებელი მტერი, რომელიც ოსმალეთს განიელტო, იქ გარდაიცვალა და იქვეა დაკრძალული. საუკუნო ხსენება რაინდ მამულიშვილს, რამეთუ მისმა ოცნებამ ფრთა შეისხა: საქართველოში რუსთა ბატონობა დაემხო და საქართველო აღსდგა!

სრულიად საქართველოს ხელოვნებას სათუთი გრძნობა უნდა, სიყვარულით გამთბარი გული. ეს სიყვარული, ეს სათუთი გრძნობა და გული უნდა შეაგებოს ქართველმა ერმა თავის ხელოვანთ.

იცოდეს ყველამ, რომ ხელოვნების კარგი დამფასებელი სჯობია ცუდს მწერალს, ჯაგლაგ მსახიობს, უნიჭო მხატვარ-მუსიკოსს.

ხელოვნების პატივისმცემელთა და მოყვარულთაც მოვუწოდებთ, მეტი სიყვარული გამოიჩინონ ხელოვნების და ხელოვანთა მიმართ.

ხელოვანნო! კუთხობრიობის, სქესობრიობის, გვარობის და პარტიულობის განურჩევლად შეერთდით და შექმენით ტურფა თაიგული, კმასურნელოვანი, როგორც ჩვენი სამშობლოა, რომ მით ერი ჩვენი განაბრწყინოთ, უკვდავ ჰყოთ და მსოფლიო დაამშვენოთ!..

მაშ წინ თავისუფალ საქართველოს ხელოვანნო! გაგიმარჯოთ!...

გაუმარჯოს თავისუფალ ხელოვნებას თავისუფალ საქართველოში!..

**იოსებ იმედაშვილი**

# ბაგრატიონთ გვირგვინი!

სამეფო გვირგვინს ამშვენებს ძალი
დიდ შთამოვალ ბაგრატიონის,
გარს შემორტყმია ოქრო ბაჯაღლი
წმინდათ ნაკურთხი წმინდა სიონის,
მარჯვენას უმკობს ძვირფასი თარი—
თარი მკვნესავი და ხან მცინარე,
მარცხენა კერძონს დიდი ყანთარი
მეფურ სიუხვის სწორ მომდინარე...
ამას იპყრობდა მუნ აშოტ-კუხი
ბაგრ ატიონი მეფე ქებული,
სხვებიც არ იყვნენ თურმე საფურთხი,
აქ ბევრნი სხედან თავდადებული,—
მეფე დავითი! ქართველთა მხსნელი
არაბეთიდან დღისით, მზიურად,
ბევრი ქართული სკოლის გამხსნელი,
ჯარის მომწყობი ბიზანტიურად.
მეფე გიორგი! თამარის მამა,
ქველი ცნობილი ისტორიაში,
კეთილი, ტკბილი, როგორც მაჯამა,
ფეხ მარდი, მხტომი მთებიდან მთაში.
ბურდუხან! დედა თამარ მეფისა,
ტომით ოსია, მეფა ჰკვიანი,
ქალთა უწყების დარბაზ სეფისა,
მსწავლებელია და ხელოსანი;
დიდი თამარი ბაგრატიონი!—
ეს მთლად გვირგვინი ქართველ ერისა,
ხან მრისხანეა, როგორც რიონი,
და ხან კეთილი ვით ფრთა მწყერისა,
აი დიდება! ქართველი ერი.
ეს ბრილიანტი ხრეშთა ათასში,
დღეს დაიბადა!.. თუმცა ბებერი
ღელავდა, როგორც კახური თასში.

**კოკი ებრალიძე**



**სერგი მესხი**

70—80 წლების ჟურნალისტი, „დროების"-ს რედაქტორი. ქართველი ერის გათვითცნობიერებას საძირკველი ჩაუყარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლადო დარჩიაშვილი

პირველი ქართველი სოციალ-დემოკრატი, რომელმაც 20 წ. წინად აღაფრიალა საქართველოს თავისუფლების დროშა და ამიტომ იგი დევნილ იქმნა ორიოდე ამხანაგთან ერთად. გარდაიცვალა გერმანიაში. ნეტარ ხსენება მას: საქართველო დამოუკიდებელია!

# განცდათა პარნასი

## II

### შემოდგომის ფოთლები

ა

წალკოტი ჭყვავის, ბუნება ფიანდაზად გადაშლილია. ცის ჰორიზონტი იცინის, მზე კისკასობს... ამოდის.

კოხტა ვაჟი და ცქრიალა ქალი ერთი მეორეს ჩასჩურჩულებენ:

— მიყვარხარ ისე, როგორც არავის არ შეჰყვარებია!—მტკიცედ ამბობს ვაჟი.

— გიყვარვარ?—ეკითხება ქალი.

— უშენოთ სიცოცხლე არ ძალმიძს.

ქალმა აკოცა ვაჟს. ერთი, ორი, სამი და გველივით მკლავებიდან გაუსხლტა.

ვაჟი გაკვირვებით უცქერის მიმავალს. ქალი იქვე მოშორებით კორდზე გავიდა. იქ ხალხი ირეოდა, ისიც მათ შეუერთდა.

ვიღაცამ გამოიხმო, გვერდზე ბუჩქს მიეფარენ და ერთი-მეორეს გადაეხვიენ.

პირველმა ვაჟმა თვალი მოჰკრა.

— ღმერთო, რა დავინახე... ის მეორეს კოცნის. ატრემლდა. უჩვეულო ტკივილები იგრძნო მისმა ნორჩმა გულმა. დაფიქრდა. ამოიღო ჯიბის დანა და იქვე მის წინ მდგომ კაკლის ხეზე რაღაც სიტყვები ამოჭრა.

და მას მერე ის ვაჟი იმ ბაღში არვის უნახავს.

მხოლოდ მებაღემ იცის, თუ სად არის ის. და მუდამ, როცა შემოდგომის პირზე ყვითელ ფოთლებს აგროვებს ხოლმე, ხეზე წარწერილ სიტყვებს სევდიანი ღიმილით ამოიკითხავს:

უსიყვარულო ობოლი
დაჭკნა, ვით ფოთოლი!

ბ

წალკოტი სტირის. მესამე შემოდგომის სუსხმა ხეთა რტოები გაფურცლა.

მებაღე უგულოთ უვლის ხეივნებს... და მჭკნარ ფოთლებს ჩვეულებრივ აგროვებს და ორწოხში ჰყრის. ბაღში ვიღაც ქალი ფეხ-აკრეფით შემოვიდა.

ფერ-მკრთალი, გაყვითლებული, სახე გატრეცილი, მებაღე გაკვირვებით უცქერის მას.

— სად მიდიხართ ქალბატონო... შემოდგომაა... ბაღში სეირნობა შეწყვეტილია!

— ქალი იდუმალი სევდით მიაცქერდა მებაღეს.

— მე მინდა... იქ ხეივანი ვნახო...

და ოთოლდა დაიწყო.

მებაღე მიუახლოვდა, ჩახედა მიმქრალ თვალებში, იცნო.

— მიბრძანდით, შენი ნაცნობი კაკლის ხე იქ არის.

ქალი მივიდა ხის ძირს, ერთ ადგილს დააჩერდა, ქვითინით ამოიკითხა:

უსიყვარულო ობოლი
დაჭკნა, ვით ფოთოლი!..

მებაღემ განიცადა მისი სევდა, მივიდა მასთან. ხელი მოჰკიდა... მიუალერსა.

— რისთვის სტირი?

— ვინ წააწერა ეს?

— გახსოვს... თქვენ ორი ერთად რომ იყავით აქ... შენ წახვედი ის დარჩა...

— სად არის... მაჩვენე.

— ხედავ ამას?

და მებაღემ დაგროვილი ყვითელ ფოთლებზე მიუთითა.

— სად მიგაქვს ესენი?..

— მთის ორწოხში უნდა გადავყარო.

— ის სად არის?

— სამარეში... ყვითელი ფოთლები ფარავენ.

გ

არავინ იცის ის ქალი სად წავიდა.

მხოლოდ მებაღე, მრავალ მოგონებასთან, თავისს გულის სიღრმეში ინახავს საიდუმლოებას. მან იცის, სად წავიდა ის, იცის და სდუმს, ისევ განაგრძობს შემოდგომის პირზე ყვითელი ფოთლების დაგროვებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხოლოდ, როცა ის დაგროვილ ფოთლებს აიღებს და მთის ორწოხში გადაჰყრის, მაშინ მისი სახე სევდით შეიმოსება...

მოგონების ზვირთთა დუდუნი წუთით ახმაურდება, მის თვალ-წინ ცოცხლად გაივლის ქალ-ვაჟის სახე, მწარედ გაეღიმება... მაგრამ მერე ისევ მოიღუშება.

ისინი აღარ არიან...

... და ისევ ტოვებს მთის ორწოხის შავს ნაპრალს დაფიქრებული გულის მასევდიანებელ ღიღინით:

უსიყვარულოთ... ობლები...

დაჭკნენ, ვითა ფოთლები!..

ქ. გერგესელი



**გენ. კვინიკაძე**

სამხედრო სასწავლებლის უფროსი, რომელმაც მხედრობის აღზრდის საქმე სამაგალითოდ მოაწყო და მით უცხოთა თვალში აამაღლა ქართველი მხედარი.

# განახლებული სიცოცხლე

რომანი ქართველ სომეხთა ომიდან

(გაგრძელება იხ „თ. და ც." № 2)

**უმაღლეს პირთა თათბირი.**

საქართველოს რესპუბლიკის სოციალისტური მთავრობა სხვა მხრიდან უფრო მოელოდა თავდასხმას, ვიდრე სომხეთიდან და ამიტომ ყველამ —მინისტრებმა, წითელი გვარდიის მთავარმა შტაბმა და სხ.—ალმაცერად შეხედეს ვ. გოგუაძის მოხსენებას: ბანდასთან გექნებათ საქმე, თქვენ ჯარად გეჩვენებათო.

მუდამ მშვიდობის მოციქული, დემოკრატიის ბელადი ნოე ჟორდანია გულის ტკენით ისმენდა ყოველივე ამას და ჯერ გადაწყვეტილი აზრი არ იხატებოდა მის სახეზე; გარეშე საქმეთა მინისტრი, ევგენი გეგეჭკორი, თითქო იმუქრებოდა კიდეც:—სომხებს თუ ომი გამოუცხადეთ, სამსახურიდან გადავდგებიო. ალბად ყაჩაღებს ესხმიან ჩვენს ჯარებს, თორემ სომხეთი როგორ შემოგვკადრებს ამისთანა თავხედობას: ჩვენი მტერი რომ იყოს, თავის თავს რალას ერჩისო. მე ცნობები მქვს, რომ სანაინის მიდამოების მცხოვრებთ მშვიდობიანობა სწყურიანთ, მაგრამ თავგასული ბრბოები ამხედრებენ ხალხსო.

გარეშე საქმეთა მინისტრი თავის მოსაზრებას საბუთებითაც ამტკიცებდა; სხვათა შორის, წარმოადგინა ახლახან მიღებული განაჩენი, სომეხთა სოფლის დიდი და პატარა დურნუკელთა მიერ დადგენილი: „განაჩენი, № 10, ჩვენ ქვემორე ამისა ხელის მომწერნი, დიდი დურნუკისა და პატარა დურნუკის მცხოვრებელნი, ვადგენთ ამა განაჩენს მას ზედა, რომ მთელი სოფლის მცხოვრებნი ვემორჩილებით საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობასა და ყოველ მის მოთხოვნილებას ვასრულებთ. აქვე აღვნიშნავთ, რომ ხსენებულ სოფლებში ხუთის თვის წინად თბილისიდან მოდიოდენ პროპაგანდისტები და მცხოვრებელთ აღელვებდენ. ერთი მათგანი იყო ტერტერ ოჰანესა ბადალიანცის სიძე, კაზაზიანცი. ეს პროპაგანდისტები ყველანი დაშნაკციუთუნის პარტიის წევრნი იყვნენ. გარდა ამისა, თურმე ამავე პროპაგანდისტებს მოუზიდნიათ სხვა და სხვა იარაღი და ყუმბარები. ყველა ამას ინახავდენ ტერტერ ოჰანეს ბადალიანცის სახლში. ახლა გთხოვთ მთავრობის წინაშე გვიშუამდგომლოთ, რომ ასეთის ხალხისგან დაგვიფაროთ. ამაში მთავრობას ვაძლევთ რაც იარაღი გვაქვს და ხუთ კაცს მძევლად. ამიტომ საკუთარ ხელს ვაწერთ".

განაჩენი ესე შემოწმებული იყო დურნუკის სასოფლო კომიტეტის ხელის მოწერით და ბეჭდით.

— როგორც ხედავთ აქ ხალხი დამნაშავე არ არის, არამედ მისი ხელმძღვანელი პირტია. თუ სადაო არის რამ, ისევ მორიგებით მშვიდობიანის გზით გავათავოთ. რა ვუყოთ, რომ ჩვენის მოპატიჟებისამებრ, ჩვენს პირველ კონფერენციაზე არ გამოცხადდენ; კიდევ მოვიპატიჟოთ,— დააბოლოვა ევ. გეგეჭკორმა.

— დაე, მსხვერპლი შევწიროთ, თუნდა ჯავშნოსანიც გავწიროთ, ოღონდ მეზობლობა ჩვენი ნუ დაირღვევაო... წარმოსთქვა ვიღამაც.

დანარჩენნიც ამ ორთა კილოზე იყვნენ, ხოლო ერთად ერთი სამხედრო ვეზირი გრ. გიორგაძე ილესავდა კბილებს: საქართველოს რესპუბლიკის გადმოლახვას არავის ვაპატიებო; თუ გონს არ მოვიდენ, ვუბრძანებ ჯარებს და მტრებს თავს მეხს დავატეხო...

დემოკრატ-მამულიშვილის ვეზირის აზრი უმეტესობამ გადაჭარბებულად მიიჩნია: სამხედრო მინისტრი ომის გუნებაზე დამდგარაო.

— მე მაინც გავკადნიერდები და მოგახსენებთ.— დაიწყო კვლავ ვ. გოგუაძემ: სომეხთა ჯარები წინ მოიწევენ, ნამდვილ ომს აწარმოებენ და თუ გენ. წულიკიძეს საკმაო ძალა არ გაუგზავნეთ, განსაკუთრებით გვარდია, ჩვენი იქაური ჯარები ვერაფერს იზამენ და საფრთხეში ჩავცვივდებით... საქართველოს მტრებს არა სძინავთ...

მიუხედავად ამისა, საქართველოს ლმობიერმა სოციალისტურმა უმაღლესმა კრებამ დიდის ხმის უმეტესობით დაადგინა: საქართველოს სამხრეთ საზღვარზე უბრალო ბრბოები არიან გამოსულნი, ეგრედ წოდებული ბანდები, და მათ წინააღმდეგ ჯარის გაგზავნა რესპუბლიკის დამცირება იქნებაო...

ამიტომ ისევე დელეგაციის გაგზავნა არჩიეს. დელეგაციაში აირჩიეს შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი, რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატად ნამყოფი და მუშათა საბჭოს თავმჯდომარე გერ. მახარაძე, სამხედრო მინისტრის თანაშემწე გედევანიშვილი და წითელ გვარდიის შტაბის წევრი რ. აუშტროვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სომეხთა ეროვნულმა საბჭომ, რაკი გაიგო სამშვიდობო დელეგაცია მიდის და; ვაი თუ, ჩვენი საქმე ჩაიფუშოსო, თავის მხრით ამ დელეგაციას თავისი კომისია გააყოლა; მართალია, სოციალისტურ ქურქ-წამოსხმული, მაგრამ მაინც საქართველოს დამოუკიდებლობის ცხადი მოწინააღმდეგენი: დაშნაკელი იაგჯიანი, სოციალ-დემოკრატი ერზიკიანი, სოციალისტ-რევოლიუციონერი თუმანოვი და კადეტი დოლუხანოვი. ამ შერეული დელეგაციის თავმჯდომარე იყო გერ. მახარაძე...

სამხედრო ვეზირმა თავის მხრით მაინც ბორჩალოს ამბების გამოსარკვევად და გენ. წულიკიძას მდგომარეობის გასაცნობად წარგზავნა გენ. მაზნეშვილი.

გულმოკლული რევოლიუციის პირველი მხედარი ძალა-უნებურად უმაღლესი კრების საერთო გადაწყვეტილებას დაემორჩილა; წამოსვლის ჟამს ქართველი ერის ბელადსა და საქართველოს დემოკრატიის შესვეურს ჰალარა-მოსილ ნოე ჟორდანიას კერძოდ შესჩივლა:

— ამ გადაწყვეტილების შედეგი ის იქნება, რომ ჩემი ჯავშნოსანის მხედარნი თავის უფროსიანად მტერს შეაკვდებიან და ჯავშნოსანს კი არ დასთმობენ.

— პირიქით, მიუგო დაყვავებით დიდმა ნოემ: ერთი მხედარი გერჩივნოს მთელ ჯავშნოსანს. ჯავშნოსანს მუშები კიდევ გააკეთებენ, მხედარი და მუშები კი დისანანია თუ საქმე გაჭირდა, ისევ ჯავშნოსანი გასწირე, მხედრები კი დაიზოგეო...

რძელება იქნება)



**პროფ. პეტრე მელიქიშვილი**
ყოფილი რექტორი სახელმწიფო უნივერსიტეტისა

# ფიქრი საქართველოზე

## II

### ქართული სტუდენტობა

26 იანვარს თავისუფალი საქართველო დღესასწაულობს ერთ თავის უდიდეს დღესასწაულთაგანს— უნივერსიტეტის დაარსებას.

ამ დღეს პირველად ჩაეყარა საძირკველი ჩვენში უმაღლეს მეცნიერების კერას— ქართულ უნივერსიტეტს, რომელიც შემდეგ სახელმწიფო უნივერსიტეტად იქცა.

ეს იყო ქართველი ხალხის პირველი თავისუფალი გამოძახილი და წინამორბედი 26 მაისის დიდებულ აქტისა.

ერი, რომლის გარშემო ისეთი საშინელი ატმოსფერო სუფევდა და, მიუხედავათ ამისა, ხელს ჰკიდებდა ასეთ დიდებულ და საშვილიშვილო საქმეს, როგორიც არის უნივერსიტეტი, ეჭვი არ იყო, გადასდგმიდა მეორე ნაბიჯსაც, და გადასდგა კიდეც.—

ეს მეორე დიდებული ნაბიჯი იყო. საქართველოს დამოუკიდებელ თავისუფალ სახელმწიფოდ გამოცხადება.

ჩვენმა მეზობელმა რესპუბლიკამაც დაარსა თავისი უნივერსიტეტი, მხოლოდ იქ ჯერ-ჯერობით საკუთარი ძალებით ვერ მოახერხეს მისი გაძღოლა და ამ საქმისთვის უცხო პროფესორები მოიწვიეს, და სწავლა იქ მიმდინარეობს უცხო ენაზე.

ჩვენს უნივერსიტეტში კი სწავლა სწარმოებს მშობლიურ ქართულ ენაზე და მას სათავეში უდგანან სახელმოხვეჭილი ქართველი მეცნიერები, რომლებითაც იამაყებდი ევროპიელთა უნივერსიტეტიც კი.

რუსეთის სხვა და სხვა საუნივერსიტეტო ქალაქებში გაფანტულნი ქართველი მეცნიერნი მყისვე შემოკრბენ მშობლიურ უნივერსიტეტის გარშემო და, მიუხედავათ მრავალი დაბრკოლებისა, ეწევიან თავდავიწყებითი, მხნე მუშაობას მის ასაღორძინებლათ და ასაყვავებლად.

აღტაცებით, უსაზღვრო ნეტარებით და იმედით მოელოდა ქართველი სტუდენტობა ამ ბედნიერ დღეს და ეღირსა კიდეც ეს დიდებული ისტორიული აქტი.

მას მიეცა საშუალება დასწაფებოდა უმაღლეს სწავლა მეცნიერებას მშობლიურ ჭერქვეშ— სამშობლო საქართველოში, რათა მეტი სითბო და მეტი მზრუნველობა ეგრძნო, მაგრამ ამ მხრით ის ცოტა დავიწყებულია. მატერიალურად ძალზე შევიწროვებული ქართველი სტუდენტობა მოკლებულია საშუალებას რათა მთელი თვისი არსებით დაეწაფოს მეცნიერებას.

ცოტათი რომ მაინც შეიმსუბუქოს თავისი მწარე ხვედრი, სტუდენტობა იძულებულია იმსახუროს სხვა და სხვა კანცელარიებში მოხელეებათ და საუკეთესო დრო მეცადინობისა მას შესწიროს, მხოლოდ საღამობით ეძლევა საშუალება უნივერსიტეტში სიარულისა.

ასეთი მდგომარეობა არა ნორმალურია, და ასეთი პირობებით რაიმე საფუძვლიანი ცოდნის შეძენა ყოვლად შეუძლებელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერისთვის თვის ახალგაზრდობა დაუფასებელი რამ არის. ის არის მისი მომავალი, მისი იმედი, რომელიც მომავალში სათავეში უნდა ჩაუდგეს ჩვენს თავისუფალ სამშობლოს. ამიტომ ჩვენს სტუდენტობას ამ მხრით განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

ყოველივე ღონისძიება უნდა იქმნას მიღებული, რათა მას შეუმსუბუქდეს ასეთი მძიმე მატერიალური ხვედრი.

ჩვენი საზოგადოება ყოველნაირად უნდა დაეხმაროს სტუდენტობას, საშუალება მისცეს, რათა იგი მთელი თვისი არსებით დაეწაფოს უმაღლეს ცოდნა-მეცნიერების შესწავლოს, რომ ადრევე გამოცდილი და მომზადებული ჩადგეს ხალხის საკეთილდღეოთ მოღვაწეთა რიგში.—

ქართველმა სტუდენტობამ ბრძოლის ველზე თავისი ვალი სამშობლოს და ერის წინაშე ღირსეულათ შეასრულა.

იგი პირველ დაძახებისთანავე სდგებოდა სამშობლოს დამცველთა მოწინავე რიგში.

მომავალშიაც ქართველი სტუდენტობა კიდევ უფრო მხნედ და მეტი სიმტკიცით აღუდგება წინ თავისუფალ სამშობლოს მტრებს.—

ამიტომ იგი ღირსია მეტი ყურადღებისა და მეტი მზრუნველობისა ჩვენი მთავრობის და საზოგადოების მხრით.

**გრ. პუპიშვილი.**



პროფ. ივანე ჯავახიშვილი
რექტორი სახელმწიფო უნივერსიტეტისა



**გიორგი წერეთელი**

ერთი პირველი მოღვაწე—მწერალთაგანი, რომელიც მესამოცე წლებში „დროება" ჰრედაქტორობდა, ხოლო ოთხმოცდაათიან წლებში საძირკველი ჩაუყარა მესამე დასის აღორძინებას, რამაცა ქართველი ერი გაათვითცნობიერა იხაროს: მისმა შრომა ბედნიერი ნაყოფი გამოიღო!

# შორით შეყვარებული

(თარგმნილი)

ცის-ფერი ზღვა.

ყვითელი, მონაცრისფერო ქვიშა.

საცეკვაოზე მხვდებიან საუცხოვო სილამაზის ქალები, მაგრამ მე ვრჩები ცივი, უგრძნობელი...

მე მინდა რაღაცა სხვა...

მაგრამ რა? არა, არ ვიცი!

არა, მე ვიცი... თუმცა მე ვიცნობ ბევრ ქალს... რომელიც... მე მგონი...

მე მგონი ხანდისხან ტირილი შეიძლება მისი ცქერით, იმდენად ლამაზია,

იმდენად ნაზია...

თმის ფერი წაუგავს მიმქრალს გაცრებულს ფერფლს.

მე ვერ ვაშორებ თვალს მის ტანის მოხაზულებას.

უცებ ჩემთვის ძვირფასი ხდება ქვიშა, რომელზედაც იგი ისვენებს საბანაო ტანისამოსში.

მე დავნატრი ქვიშას.

მე დავნატრი ზვირთებს,—აქაფებულ ზვირთებს, რომლებიც ისე ზარმაცად, ისე უუნებოთ ეხვევიან მის ტანს. სამწუხაროა, რო მე მისთვის არაფრის გაკეთება არ შემიძლიან.

არაფრის...

მე მისი მოვალე ვარ, ის ვერ გრძნობს ამას და იმდენი სიკეთით მავსებს, რო მე სამაგიეროს გადახდის ძალიც არ შემწევს...

მე ვცნობ მის ფეხის კვალს სველ ქვიშაზე. როდესაც ირგვლივ არავინ არის, მე ვიხრები დედამიწაზე და ვკოცნი მის ფეხის კვალს.

ერთმა შემნიშნა ეს და მკითხა:

— „ნუ თუ მაგდენად გიყვართ ის ქალი?".

— „როგორც ხედავთ!"—ვუპასუხე.

ძვირფასო! მე მიყვარს კვალი შენი ლამაზი ფეხებისა, მე მიყვარს იგი მეტად, ვით იმ კაცს, რომელიც გიცნობს თავიდან ფეხებამდე, ვისიც ხარ და სამუდამოდ ვისიც იქნები.

მე მიყვარხარ შენ...

ყოველ წუთის განმავლობაში ზღვა ლურჯდება და ქვიშა შავდება.

ბევრი მომხიბვლელი ქალია, მაგრამ მე მათდა მიმართ ვრჩები ცივი, წყნარი, უგრძნობელი...

იგი ჯერ არსად სჩანს...

**თამარ მუჩიაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აღსრულდა!..

აღსრულდა ნატვრა დიდი ხნის, გული ნეტარობს ლხენითა!
მწარედ ვიგონებ მწარ წარსულს, გულის ტკენით და წყევითა!

* * *

ჩავერა, წამება სხვისაგან, მწარედ აშლილი იარა,
ვინ მოსთვლის ჩემმა სამშობლომ რა ტანჯვა გამოიარა!

* * *

მაგრამ ეხლა კი წყვდიადი ჟამს მიაქვს კრულვა-წყევითა
და ჩემს სამშობლოს გულს იკრავს ნათელ მზე შუქთა ფენითა!..

* * *

გულში ნაგუბი დიდი ხნის ბოღმა—ნაღველი ჰქრებიან!..
და ჩემიანნი აღდგომას სიმღერით ეგებებიან!..

* * *

იხარე ჩემო ივერო, რომ აღიდგინე უფლება!..
დღეიდან ჩემო საუნჯევ, სხვა არვინ დაგეუფლება!..

* * *

და, ჰა! აღსრულდა დიდი ხნის, ნანატრი წმინდის გულითა!
და მეც მას, ერის მგოსანი, ჩანგს ვუმღერ სიხარულითა!..

**დ. ჭანჭათელი**



**ისიდორე რამიშვილი**

ელი სახალხო მასწავლებელი, პოლიტიკური მრღვაწე, ხელმოხვეჭილი პროპაგანდისტი, მე-2-ე სათათბიროს ვრად ყოფილ, ძველის მწევრობისგან დევნილ, საქარ- ველოს დამფუძნებელ კრების წევრი, ხალხში მოხუცის სახელით ცნობალი.



**იუზა ზარდალიშვილი**

ჰამლეტის როლში,—სასცენო მოღვაწეობის 20 წ. შესრულების გამო.

* * *

ჰფანტავს სიო ვარდის ფურცლებს ლურჯ ეთერში პეპლებივით,
ზღვა ციმციმებს მოლაჟვარდე, ანთებული მწველი სხივით.

სძინავს მგოსანს წყლისა პირას მოხასხასე ყვავილნარზე;
ესიზმრება, ნაზი ცირა უკრავს სასოდ ტრფობის ქნარზე...

**გრიშა ფუთბირიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი მინისტრები



მ. არსენიძე.
იუსტიციის, მწერლობაში რაჟდენიძედ წოდებულ.



გ. ერაძე.
შრომისა და მომარაგების, მუშა, მწერლობაში ბრადიაგად ცნობილი.



გრ. ლორთქიფანიძე.
სამხედრო. ძველი პოლიტიკური დევნილი და მწერალი.

სამივე სახელმოხვეჭილი პოლიტიკური მოღვაწენი არიან, სოციალ-დემოკრატიის პარტიის წევრნი.



გიორგი თევდორეს ძე ჟორდანია

კულტურული კავშირის თავმჯდომარე, საზოგადო მოღვაწე და მწერალი, იუსტიციის დეპარტამენტის დირექტორი.



ლეონტი მამალაძე

ძველი მუშა, რომელმაც 20 წლის წინად გამოიტანა წითელი დროშა. ეს დროშა გასული 1919 წ. ქრისტეშობიისთვის 28 მუშათა პროფესიონალურ კავშირის მთავარ გამგეობას გადასცა.

# პროლოგი
## „შავი არშია“-დან *)

**დრამა 4 მოქ. პროლოგით.**

(სცენა წარმოადგენს მთის თხემის რამოდენიმე მწვერვალს. ფარდის ახდისას სცენა უკუნეთითაა მოცული. ისმის ქუხილის გვარი ნელი ყრუ ხმაურობა, რომელსაც უერთდება ძაღლის ყეფის შორეული ხმა, რის გამოძახილიც ედება მთელ არემარეს. ამ წყვდიადითა და იდუმალობით მოცულ არემარეში უცებ გაიფანტება ციური ჰანგები — ხმა მეტად ნაზი და მელოდიური. შორს, შორს მოისმის ზარის რეკა. თხემის ერთი უმაღლესი მწვერვალი, რომელიც შესუდრულია ჭაეროვან და თოვლივით სპეტაკ ღრუბლებითა, თანდათან ნათდება, რომელსაც მოსწოლია რიჟრაჟის მზის წითელი სხივები. ამ მწვერვალზე, ღრუბელთ შორის დაეშვება ანგელოსისებური ფრთებ შესხმული თეთრად მოსილი აჩრდილი — მშვენება, რომელიც ჰფანტავს ღრუბლებს და ნათელ შუქსა ჰფენს იქაურობას. მთის შვეულის კვლავ სიბნელით მოცულ კალთებზე გამოჩნდება უზარ-მაზარი შავი აჩრდილი. სიმღერა და ზარის

*) ეს პიესა ავტორმა წაიკითხა თბილისსა და ქუთაისში დამსახურებულ მწიგნობარ-მწერალთ წრეში. პიესა საერთოდ ძლიერ მოიწონეს. დაწერილია ევროპიელ ყაიდაზე. როგორც შევიტყეთ, ავტორი სწერს ამ პიესის გაგრძელებას „თეთრ ყორანს“. დამსახურებული სცენის მოყვარეა და მასწავლებელი. რედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხმა კვლავ გრძელდება, რომელიც იფანტება მინელებულ ყრუ ხმაურობაში — და ბოლოს ყველაფერი მისწყდება).

**მშვენება.** მე აქ ვანათებ, ამ მწვერვალოზე... ჩემის მშვენებით ვამშვენებ არეს... სამარადისო სხივს და ნათელს ვფენ ამა ქვეყნისა მარადიობას...

**შავი აჩრდილი.** სჯობს სულ არ იყოს, უფსკრულმა შთანთქას შენი მშვენება მიუწვდომელი... არა აქვს ძალა შენს სხივოსნობას, ის ნათელს ვერ ჰფენს ქვეყნიერებას... დეე, ბრწყინავდე ღრუბელთა შორის, მთის თხემს, მწვერვალებს ასხივოსნებდე, რა გამოვიდა, რა სარფა არის, ძლევამოსილი თუ რომ სხვა არი!.. აი, ხომ ხედავ უფსკრულს უძიროს, (უჩვენებს ძირზე) წყვდიადით მოცულს... მრავალ წლებისა, საუკუნეთა გამოჭედილი ძალა იქ სუფევს ვით უკვდავება ძლიერებისა იქ ნადიმს იხდის და ძლიერება უკვდავებისა იქა ზეიმობს კაცთ სისუსტეზე...

**მშვენება.** განა უფსკრულში ზექვეყნიური უკვდავებაა?! რა არის იქა სამარადისო?— რას შეუძლიან რომ არ ჩაიჭკნას, არ ჩაიფერფლოს და სულ არ გაქრეს! იმ ქვეყნიური ცხოვრების ძალა მოჩვენებითი, წარმავალია და იმა ჟამსა, როს მიეცემა ის უსაზღვროსა დავიწყებასა... რომ იმა ქვეყნის ტანჯულთ, გლახაკთა, მონათ, მათხოვართ გულს აღენთება ნდომისა ძალა... როს ბრიყვნი თვისსა განუსჯელობას, უგუნურებას, უგულისხმობას უკუ აგდებენ და წმინდა გზასა თვის შთამომავალს კაშკაშ ჩირაღდნით გაუნათებენ... განა მე მაშინ აქ არ ვიქნები თვის ცხოველ-მყოფელ ნათელ სხივებით და ამ მშვენებას წარმტაცს - მიმზიდველს, ამ ტურფა წალკოტს, მშვენიერს მდელოს განა იმათ არ დავასაკუთრებ!..

**შავი აჩრდილი.** შენ გავიწყდება, ჩემო კეკლუცო, რომ კაცთ ბუნებას აქვს ის თვისება, რაც ხელთ უპყვრია—მისთვის არ კმარა და ამიტომაც ის მუდამ ილტვის და ყოველ ჟამსა ძიებაშია... ამას ხელს უწყობს თვით ეს ბუნებაც... ბუნების ქმნილის სხვა და სხვაობა, თვით სიმახინჯე, სიტურფ-სინაზე, გენიოსობა ბრიყვთა ზვაობა, — გრძნეული კრძნობის გამომწვევია... და ეს საბრალო ადამიანთა შთამომავლობა ქედის მომხრელი მრავალს, უთვალავს კერპთა წინაშე, ადვილათ სცდება და გზა ებნევა... მაგალითები ხომ მრავალია... საუკუნეთა წარსული მათი ამას გვიჩვენებს, ამას გვიმტკიცებს და ბატონობას ვინც რომ იხელთებს,—ჭეშმარიტებას ის გვიკარნახებს...

**მშვენება.** ვერ დამიმტკიცე, თუმც ძლიერ ცდილობ, ჩემის მშვენების არარაობა... გრძნეული გრძნობა —გრძნობა ღვთიური თვით ბუნებისგან ჩანასახია კაცთ ბუნებაში... მისგან დიდებას თვით ბუმბერაზთა ფიქრთა ალმძვრელი სურათ-ხატება ამ ბუნებისა — წარმტაც სივრცისა, კაზმული სიტყვა ცხოველ-მყოფელი — ეს ყოველივე გრძნობით განცდილი უფრო არ შესძლებს გონების გახსნას?! მეც იმას ვნატრობ, იმ დიად ჟამსა, მზის ცხოველმყოფელ სხივებში მსრბოლი, ფაქიზ გრძნობათა ზვირთთა ტალღებში მცურავი ხალხი როს მე მინატრებს, ჩემსკენ წამოვა... უკვე დადგა დრო საშინელის შურის ძიების, კერპთა მსხვრევისა, განადგურების... აჰა, საცაა შემოკრავს ზარი ამ დიად წამის მახარობელი—და ჰაეროვან ციურ ჰანგებით ზეცას გადავსცემ დიდს საგალობელს და შევავედრებ უზენაესსა ამა მსოფლიოს სამარადისო ბედნიერებას...

**იდუმალი ხმა.** (ზევიდან) ესმის ყველა ეს უზენაესსა, ისიც მოელის სანატრელ ჟამსა...

**მშვენება.** აი, თვით ზეცაც მესაუბრება, ამ ქვეყნიური ბიწიერება განვლილ დრო-ჟამსა ეანდერძება, მომავალ ხალხთა შთამომავლობას ის ზღაპარივით გადმოეცემა. საქმე ის არის ვინ როგორ განსჭვრეტს ჩემს სიდიადეს, უმანკოებას;—ვის როგორ უცემს გული თვის მკერდში, ვის როგორ ძალუძს მედგარი ბრძოლა, რომ გამოსჭედოს მან თვისი ბედი; დიდის ჩაქუჩით, რკინის უროთი გრდემლზედა ცემით ვინ გაანელებს და ვინ დაამსხვრევს ბიწიერების გოლიათობას...

**შავი აჩრდილი.** ხა, ხა, ხა, ხა, ხა... მეც ამას ვამბობ... ბუნების ქმნილნი: უტყვი, მეტყველი, მკვდარი – უსულო, ცხოველ-მყოფელი; წყარო და კ რდნი, მინდვრები, ტბები, ტყის იდუმალი, სიკვდილ-სიცოცხლე, ჭექა-ქუხილი და თვით მიწის ძვრის გრიალ-გრიალი... ბინდი, სინათლე და ყოველივე რაც კრთის, სულს ითქვამს, ძრწის, მიისწრაფვის, ჩნდება, იზრდება, ბნელდება, კვდება და კვალად ჩნდება წამებისათვის... თვით დედამიწაც, როს ყინვა-თოვლში, ზამთრის ბურუსში არს გახვეული ან გაზაფხულის დღითა აღზრდილი, ალტაცებული-აყვავებული... ბუმბერაზი ზღვაც, რომლის კინტროსში ხალხის ვარამიც ძლიერ მცირე სჩანს, რომელიც წარმტაც მშვენების არის როდესაც დრტვინავს, ბობოქრობს, სწყრება, ზვირთებს ზვირთებზე როს ღრიალით სცემს კლდოვან ნაპირებს და ეხეთქება... აი ესენი, ბუნების ქმნილნი ყველანი ყველგან სხვა და სხვა არის... ცვალებადებას განიცდის ყველა და მათ სტიქიურს ძალას მუდმივსა რით შეუძლია შენზე შეჩერდეს, მოგაპყროს თვალნი ვით ღვთაებასა, შენ გნატრულობდეს, შენსკენ ვიდოდეს... ცვალებადია კაცის ბუნება, დღეს შენ გიწამებს—ხვალ კი მეორეს და ამ კვლევაში, ამ ძიებაში ერთი ერთს შთანთქავს, მეორე მეორეს .. და აგრე მუდამ, დაუსრულებლივ მიმდინარეობს ბრბოთა სიცოცხლე... იმას თვის გზაზე რაც კი მოხვდება ფეხ-ქვეშ სრესს, სთელავს და აგრე გასრესს, აღარ დაინდობს შენსა სიტურფეს, შენსა მშვენებას. თვისი სიბრიყვით ის ველარ არჩევს უბედურება-ბედნიერებას... შენსკენ



ალ. ყაზბეგი

მამულიშვილი—მწერალი, რუსთა ჩამოსახლების ერთი უკიდურესი მოწინაალმდეგეთაგანი ხალხის უფლების მოციქული, რომელმაც თვისი მშვენიერი მოთხრობებით მოზარდ თაობაში გაალვია და განამტკიცა სიყვარული სამშობლოისა და ხალხის უფლების აღდგენის მიმართ. უკვდავ ხსენება: მისი გულისთქმანი განხორციელ და!..

მომავალს გზას გაბრწყინებულს სულ ადვილათა იგი ასცდება და აგრე რიგათ მისდგება უფსკრულს და მის წყვდიადში ის შთაინთქება; შემდეგ კი კვალად აბოგინდება, რომ კვლავ განაგრძოს სვლა იმა გზასა, რომლით ვიდოდა მრავალსა წელსა... და მაშ რა [illegible]რის, რა არის მათთვის შენი მშვენება, ეგ სხივოს-[illegible], თუ შენ ვერას დროს ველარ გიხილავს, ველარ მოგაღწევს მისი გონება... და იკაშკაშე სხივთა კონებით, თუ გინდ ჩაბნელდი, ჩაუკუნეთდი ამაობაამაოებით... არას დაჰკარგავს არავინ ამით—მათთვის ერთია ყოველი ესა...

**მ შ ვ ე ნ ე ბ ა.** ლამაზათა სთქვი ეს ყოველივე, თუმც მეჯავრება ეგ შენი კილო, ეგ გულის მკვლელი შენი ხარხარი... მაგრამ მე მაინც არ შევაჩერებ ჩემს ბრწყინვალებას, ჩემის კაშკაშა სხივთა კონისგან ერთს არ ჩავაქრობ, არ შევანელებ... მაგრათ დაუშტვენ საყვირს მხმობელსა, ზარებს ჩამოვკრავ, დავაგუგუნებ. (ასტუდება საყვირის ხმა და ზარის რეკა). ციდან მოვიხმობ ანგელოსთა გუნდს საგალობლოთა,—ციურ ჰანგებით ამ არე-მარეს სულ გავაყრუებ. (მოისმის სიმღერა: „აღსდეგ, გმირთ გმირო, ნუ გძინავს"). და ღრმათ ვიწამებ, რწმენით ძლიერით, რომ მოიხიბლვის კაცობრიობა, განიწმინდება ბოროტებისგან დღეს მოჩრდილული მისი გონება... ჩემსკენ გამოსწევს მედგარი ბრძოლით, მედგარ ნაბიჯით მოექანება... წმინდა, ანკარა ამ მთის ჩანჩქრებით თვის გულის წყლული მოებანება და გარკინებულს, წელში გამართულს, გოლიათს, დევგმირს, განსპეტაკებულს კაცობრიობას ამ სამეფოში ბედნიერება დაემკვიდრება...

**შავი აჩრდილი.** (მოჭყვება ხარხარს). სულ [illegible]ილია... სულ ოცნებაა... ეს ზღაპარია... მიუწვდომელი .. (ასტუდება საშინელი ჭექა-გრგვინვა, ელვა გაიელვებს. ამ გამაყრუებელ ხმაურობას შეუერთდება ზარების რეკა, საყვირის ხმა, გუნდის სიმღერა და ხარხარი შავი აჩრდილის. კვლავ სცენაზე დაუკუნეთდება. უცებ მისწყდება ყოველივე. სამარისებური სიჩუმე დადგება. კვლავ თანდათანობით მწვერვალებს მოაწვება მზის მრავალ ფეროვანი სხივები, რომელიც სავსეთ მოანათებს მთელ არემარეს, მხოლოთ მარცხენა მხარის შვეული დარჩება დაჩრდილული. შავი აჩრდილი გამქრალა; მშვენება კი სდგას თავის ადგილას შესაფერ პოზაში. აპოთეოზი).

**ფ ა რ დ ა.** **ვანო ასკურავა.**

## კოოპერაციის ცხოვრებიდა[illegible]

ქ. ზუგდიდში 26 ნოემბერს გაიხსნა [illegible] კურსები. მსმენელთა რიცხვი 40-დეა. ლექტორათ მოწვეულ იქნენ საქართველოს ცენტრალურ კავშირის ინსტრუქტორები ვლ. ემუხვარი და ალ. კახელაძე. კურსები თვიურია, მას ინახავს ზუგდიდ-სამურზაყანოს კოოპერატივთა კავშირი. კურსების გახსნისას სიტყვები წარმოთქვეს ვლ. ემუხვარმა და კავშირის გამგეობის წევრმა ხუბულავამ.

ღირსაღსანიშნავია, რომ ზუგდიდ-სამურზაყანოს კოოპერატივთა კავშირი, რომელსაც სათავეში უდგას ტ. ლატარია, პიროვნება უმაღლეს კომერციული განათლებით აღჭურვილი და დიდ ენერგიის პატრონი, მრავალ გვარ კულტურულ-განმანათლებელი მოღვაწეობას ეწევა. ხსენებული პიროვნება სულით და გულით მიისწრაფვის, რომ კავშირის მოღვაწეობა ხალხის საკეთილდღეოთ ვითარდებოდეს და იზრდებოდეს. მან დიდი უნარი გამოიჩინა მაზრის კოოპერატიულ მოძრაობის განვითარების საქმეში. გარდა ამისა, ამ დღეებში მან ქ. ზუგდიდში შეიძინა სახალხო სახლისათვის ორსართულიანი საუკეთესო შენობა, წარსულ ზაფხულში მოწვეულ რწმუნებულთა ყრილობის დაკისრებისამებრ. აქვე უნდა ითქვას, რომ ლატარიას აფასებენ და მხარს უჭერენ გამგეობის სხვა წევრები, თანამშრომელნი და კავშირის მოსამსახურენი, მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგ შემთხვევაში აბრკოლებენ და სრულიად გაუმართლებელ წინააღმდეგობას უწევენ ზოგიერთი საერობო მოღვაწენი. სასურველია, ეს მოღვაწენი ხელს უწყობდენ კოოპერატივთა კავშირს და მასთან შეთანხმებით მოქმედებდენ.

ამ კრებაზე ხუბულავას მიერ წარმოთქმულ სიტყვას შემდეგ ნომერში მოვიყვანთ. **ირ. ბოხუა**



**ზაქარია ჭიჭინაძე**

დამსახურებული მოღვაწე—მწერალი, საქართველოს აღდგენისა და ქართველი ხალხის გათვითცნობიერების დაუცხრომელი მუშაათაგანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



გორათა. ძმათა სასაფლაოს ძეგლის საძირკველის ჩაყრა 1919 წ. ოქტომბრის 16-ს. უკანა რიგზე თამარ მეფის დროის ეკლესიაა

# [თა]ვისუფლების გუშაგთაგან

ხაშურის გვარდია ვის არ გაუგონია?—ნატანების, შულავრის, ახალციხის, აწყვერის, სოჭის, ცხინვალის და სხ. ფრონტები, აი მისი გმირობის მოწმენი. საკუთარის სისხლით სად არ აღნიშნა მან თავისი ნაკვალევი! ჩვენის სამშობლოს ყოველ მხარეზე მისი დროშა ფრიალებდა. ამის ცხადი მაჩვენებელია ბორჩალოს ბრძოლაში გმირულად დახოცილი ამხანაგები, აწყვერთან განგმირულნი და სხ., რომელთა უკვდავსაყოფელად მადლიერი სამშობლო თაობიდან თაობას გადასცემს მათ გმირულ თავგანწირულებას, ხოლო ღირსეულმა ამხანაგებმა ყველა იგინი ხაშურში საგანგებო ადგილს—თამარ მეფის დროის ეკლესიასთან გორათაზე დაკრძალა და თავისებური დიდებული ძეგლი აუგო პიტალო კლდისაგან, სწორედ ისეთი უტეხი, რომლის სიმტკიცის მსგავსს ხაშურის თითოეული გვარდიელი წარმოადგენს. ბრძოლაში თუ ასეთია ეს გვარდია, არა ნაკლებ მოღვაწე-მუშაკია შინაურ-კულტურულ სარბიელზე. მისი თვითმოქმედების უნარი სამაგალითო და მისაბაძია. მერე ეს იცის ვინმემ? სამწუხაროდ არა...

ხაშური ქართლის შუაგულია, უმეტესად საქართველოს სხვადასხვა მხრიდან მოსულთაგან დასახლებული, რკინის გზის ერთი მთავარი კვანძთაგანი: აქ არის სარკინისგზო სახელოსნო, გიმნაზია, წვრილი სასწავლებლები სხვადასხვა სახისა; ოციოდე წლის წინად აქვე შესდგა სცენის მოყვარეთა ჯგუფი და გაჩაღდა კულტურული მუშაობა, რამაც შემოიკრიბა მუშათა წრეები, ჩაითრია ახლო მახლო სოფლელთა ნაწილი, იდეურად გაათვითცნობიერა და ჯერ კიდევ ცხრაასიან წლებში ხაშური იყო ერთი პირველი მერცხალთაგანი დემოკრატიის განთავისუფლებისა და თვითმპყრობელობის დაცემის საქმეში. სოციალისტურ იდეათა გამავრცელებელი წრე აქ ოცს წელზე მეტია რაც არსებობს: 1903 წ. აქაურმა მუშა ხალხმა და მოწინავე დემოკრატიამ გაბედულადააფრიალა განმანთავისუფლებელი წითელი დროშა. მის შემდეგ ეს დროშა ძირს არ დახრილა. ხაშურმავე შეადგინა ერთი პირველი წითელი რაზმთაგანი და რეაქციის სიმძაფრეს თავგამოდებით ებრძოდა. ბოლშევიკურ რევოლუციის ხანაში ანარქიით მოცულ ჩვენს სამშობლოს ერთგული მცველი და მოწესრიგე რო დასჭირდა, ხაშურის მოწინავე წრეებმა შეადგინეს წითელი გვარდია—აწინდელი ხალხური გვარდია, აღთქმა დასდეს არ დაეყარონ იარაღი, ვიდრე სამშობლოს თავისუფლებასა და საქართველოს დემოკრატიის გამარჯვებას საბოლოოდ არ უზრუნველჰყოფენ. და ამ აღთქმას ხაშურის გვარდია დღემდე სახელოვნად ასრულებს.

დღეს გვარდიაში ირიცხება 600 კაცამდე, რომელიც ყოველ წუთს მზათაა იარაღით დაიცვას სამშობლოს თავისუფლება და რევოლუციის მტრებს შეებრძოლოს.

მისი ფარგალია ქარელს ზევით ბორჯომის ხეობამდე. გვარდიის შტაბი და ყაზარმა მოთავსებულია ხაშურის სადგურის პირდაპირ, მაგრამ ეს მეომართა მხოლოდ სადგომი არ არის, არამედ სკოლაც. აქ არის: 1) კოხწიად და სუფთად მოწყობილი ვრცელი დარბაზი მუდმივ საყარაულო რაზმის სადგომად, 2) ოთახი ბრძოლაში დაღუპულ გვარდიელთა—მაღლა სოც.-დემ. მოღვაწეთა სურათი, ირგვლივ კედლებზე საუცხოო ჩარჩოებში ყველა იმ გვარდიელთა სურათები და ჯგუფები, რომლებიც სხვადასხვა ბრძოლაში დაიღუპნენ. აქ არიან თითქმის 25 გვარდიელი, 3) სალექციო დარბაზი—კოხწია სცენაზე ნოე ჟორდანიას დიდი სურათი, სცენის აქეთ-იქით წითელი დროშები,—ორკან ჩამოკიდება ეროვნულიც, და გვარდიის ცნობილ მოღვაწეთა სურათებია, გამართულია სასხდომეა (როგორც გადმოგვცეს, ყოველივე ეს 24 საათში გააკეთესო, იანვრის 12-ისთვის). აქ საგანგებო მოხსენება-ლექციები გაიმართება გვარდიისთვის, შეიძლება წარმოდგენებიც;



**ხაშურის გვარდიელთა ძეგლი გორათაზე**

თამარ მეფის ეკლესიის წინ, ბორჯომის და იმერეთის რკ.-გზის ლიანდაგთა შორის, მთელ არემარეს გაჰყურებს აგებულია პირამიდისებურად, ბორჯომის მკვრივ ქვისაგან, ტინისებურად; დაბლა ორი საჟენია, თან და თან ვიწროვდება. მაღლა დაიდგმის გვარდიელის ალალმა აგებულია მუშა სიმონ ბაბლიძისა და ტეხნ. ლადო ქუთათელაძის გეგმით.



**სიმონ ბაბლიძე**

წევრი გორის სამაზრო ერობის, ხაშურის თემის, დეპოს მუშა და ხაშურის დეპოს მუშათა იაჩეიკის თავმჯდომარე. მთელს ქართლში ცნობილია, როგორც კარგი აგიტატორი. პარტიაში მუშაობს 1898 წლიდან. ხალხში დიდი ნდობა და სიყვარული აქვს მოხვეჭილი. მან ააგო გორათის ძმათა და გმირ გვარდიელთა სასაფლაოზე უმშვენიერესი შინაარსიანი საყურადღებო ძეგლი.

4) სამკითხველო, ლამაზად მოწყობილი ოთახი, ჟურნალ-გაზეთებით (წიგნები აკლიათ), სხვადასხვა დარგის სახელოსნოები და სხ. ყოველივე ეს წესსა და გემოვნებით მოვლილი. სჩანს სათუთი და მზრუნველი ხელი მუშაობს აქ. და მართლაც ასეა: ამას მეთვალყურეობს თვით ხაშურის მოწინავე პირთა და მუშათა რჩეული შვილები.



**ვლ. გიორ. ქუთათელაძე**

ტეხნიკოსი, საქართვ. რესპუბლიკის რკინის გზის მე-ბ-, უბნის ლიანდაგის შენობათა ზედამხედველი,—გორათზე ძმათა ძეგლის აშენების ერთი ხელმძღვანელთაგანი.

ხაშურის რაიონის მოწინავე შვილები სამშობლოს დასაცავად არ იზოგვენ სიცოცხლეს, არ იზოგვენ ნივთიერ მსხვერპლსაც, მაგრამ დღევანდელ ხანაში მათთვისაც ძნელია საკუთარი სახსრით გვარდიაში კულტურულ მუშაობის გაჩაღება. ქართლელის ძველებურის თავისებურებით თუ აიხსნება ის გარემოება, რომ რა კი [illegible] თქმა დასდეს — მოწინავე ამხანაგთა სისხლით დადებულ ანდერძს არ ღალატობენ, — არც ჰღალატობენ, მაგრამ მათი თავგამოდება რადემდე გასტანს?!

დარწმუნებული ვართ, ვისაც ჯერ არს, თუ ახლო გაეცნო ხაშურის გვარდიის მოქმედებას მაშინ უხვადაც დაეხმარება სამშობლოს ამ სასახელო ბურჯს, სხვათა სამაგალითოდ.

და ჩვენის ქვეყნის ყოველი კუთხის გვარდიელთა ხელმძღვანელებმა მაგალითი აიღონ ხაშურის გვარდიისაგან და გაიგონ, თუ როგორ უნდა ბრძოლა და კულტურული მუშაობა. ხაშურის გვარდიის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ აქაური ოფიცრობა და გვარდიის შემადგენლობა ერთსულოვნებით ემსახურება ერთხელვე რჩეულ მიზანს.



**ხაშურის გვარდიელ ძმათა ძეგლის ამგებნი**

1 ძეგლი; 2, ს. ბაბლიძე და 3, ვლ. ქუთათელაძე—ძეგლის გეგმის შემდგენელნი და აგების ხელმძღვანელნი; 4, ნიკო სიხარულიძე—გვარდიის შტაბის თავმჯდომარე: 5, ნიკ იმნაიშვილი—დამფ. კრების წევრი, პროფესიანალურ კავშირის წევრნი, გვარდიელნი და მუშები — ძმათა სასაფლაოზე (გორათა) დეკემ. 12, 1919 წ.

ვუსურვოთ გამარჯვება თავისუფლებისა და სამშობლოს ამ ერთ ურღვევ ბურჯთაგანს—ხაშურის გვარდიას! დღეგრძელობა-მხნეობა თავის სასახელოდ და სამშობლოს სადიდებლად!..

**იოსებ არიმათიელი**

# ახალი წელი 20 წ. წინეთ

ძველი სტილით 1900 წ. ახალი წლის დღე იყო, როცა გადასწყდა, ს.-დ. პარტიის წევრებს [illegible]გვედღესასწაულნა მაისობა. ყველას დაგვევალა პირველად წითელი დროშები გამოგვეკიდნა მაისისათვის თბილისის ყველა ქუჩებში. ისე ცოტანი ვიყავით, რომ თითებზე ჩამოვითვლებოდით. გადაწყვეტილება მაინც სისრულეში იქმნა მოყვანილი: საცა კი მოხერხდა საჩენ ალაგებს ვაკრობ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დით ქალაქის წითელ დროშის. რადგან ტელეფონის მავთულებს ვერა ვწვდებოდით, კანაფის ერთ წვერზე კენჭს ვაბამდით, მეორე წვერზე კი პატარა წითელი მიტკლის დროშას ზედ წარწერით „გაუმარჯოს თავისუფლებას, ძირს თვითმპყრობელობა"-ო, და ისე ვაფენდით მავთულებზე. ამ საშუალებამ ბევრი გაათვითცნობიერა და მრავალი წევრები შეგვმატა. ჩვენ, თითქმის ყველანი, დაახლოვებით 100—150-მდე კაცი, წავედით კუკიის ტყეზე, ყველა თავ-თავისი სადილით და იქ ვიდღესასწაულეთ. პოლიციამ ჟანდარმერიამ დევნა დაუწყო ხელმძღვანელებს, მაგრამ ამაოდ. ამავე წელს, მარიამობისთვის პირველ რიცხვებში, მოჰყვა გაფიცვა პირველად ეკონომიურ ნიადაგზე რკინის გზის მუშების მთავარ სახელოსნოსი დეპოსი და ორთქლმავლის მემანქანეების (ვგულისხმობთ მათ თანაშემწეებსაც). გამოსვლა იყო შეგნებულათ და არა ბრმათ. თუმცა ჩვენი მოთხოვნილება ცოტათი დააკმაყოფილეს, სამაგიეროთ რამდენიმე ჩვენ საუკეთესო ამხანაგს მეტეხის ციხისაკენ უკრეს თავი, შემდეგ ცივ ქვეყნებისაკენ. მთავრობის ასეთმა რეპრესიებმა ერი უფრო ზედმეტათ გაათვითცნობიერა, უფრო გაზარდა ჩვენის პარტიის წევრების რიცხვი, ელვასავით მოედო ქადაგება მუშებში, რაიც გადავიდა სოფლის გლეხობაზედაც.

ეს გაფიცვა იმითია აღსანიშნავი, რომ ამ გვარი გამოსვლა ამ წლამდის მთელ რკინის გზას მუშებში არ ყოფილა; ამიერ-კავკასიის მუშებმა ამით აჩვენეს მაგალით ყველა მხრის მუშებს, თუ როგორ უნდა იბრძოლონ თავისუფლებისათვის.

და ამ ოცი წლის წინანდელი ჩვენი ახალი წელი დამთავრდა იმ გამარჯვებით, რის მოწმენიც ჩვენ დღეს ყველანი ვართ. მაქვს სრული იმედი, შემდეგ წლებში, 1920 წ., ისტორია უფრო დიდრონი ასოებით აღწერს მჭევრმეტყველებით თუ ვით ვიქნებით შორს მჭვრეტელნი და ერთგულნი დარაჯნი ჩვენის სამშობლოსა და თავისუფლებისა.

წითელ-რაზმელი



1. ს. ბოლქვაძე მე-8-ე უბნის კომისარი; 2. შ. გომართელი—მისი თანაშემწე; 3. მ. მაყაშვილი—თანაშემწე; 4. ი. თალაკვაძე—თანაშემწე; 5. ი. ჯანელიძე—თანამშრ. მილ., 6, შ. ყანჩაველი, 7. ასანიშვილი—საქმისმწარმოებელი, 8. კიკნაველიძე; 9. ოქროსცვარიძე, უფრ. მილ., 10. ბიბილური; 11. გ. ნაცვალოვი, 12. ი. შარაშიძე; 13. ტომასოვი; 14. კომარაძე; 15. იგ. ბარამიძე.

### მე 8 უბნის ადმინისტრაცია

ამ რამოდენიმე თვის წინათ მოქალაქენი მილიციაზე სულ სხვა შეხედულების იყვნენ, მილიციის ხსენებაზედაც კი მათ ზიზღი ებადებოდათ. მართალი იყო თუ არა მილიციაზე ასეთი შეხედულება ამის მტკიცებას არ შევუდგებით, ერთი ცხადია: მილიცია რაც იყო—ის აღარ არის, დღეს გაჯანსაღების გზას adგია. ამას მოწმობს მე 8 სამილიციო უბნის ადმინისტრაცია. ეს კომისარიატი ერთ მოუსვენარ კომისარიატთაგანი იყო. დღეს კი ამ კომისარიატში კომისარ სიმონ ბოლქვაძის და მისი თანამშრომლების წყალობით პირველი კომასარიატია. სიმონ ბოლქვაძემ დაიმსახურა უფროსების ყურადღებაც და ორჯერ მილიციის უფროსისაგან დიდი მადლობა მიიღო. ამასთან ერთად ისიც აღსანიშნავია, რომ ბოლქვაძე და მისი თანაშემწე ამ უბანში აქტიურ პარტიულ წევრებათაც ითვლებიან. კომისარის თანაშემწე შალვა გომართელი მეორე კოლექტივის წევრად ითვლება, ის არჩეულია მე 8 უბნის ამხანაგების მიერ—ბოლქვაძის დაუღალავმა შრომამ გასწმინდა ეს უბანი მავნე ელემენტებისაგან.

ჩვენ ვისურვებთ, რომ ყველა უბნებში ასეთი მილიცია გვყოლოდეს.

ი—ელი



**მსახიობი იუზა ზარდალიშვილი**
სასცენო მოღვაწეობის 20 წლის შესრულების გამო.



**ს. ხეთაში** 1919 წ. 21 ნოემბერს (ახ. სტ.) ადგილობრივ სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილ იქმნა დრამატიული პიესა ვ. გუნიასი „და-ძმა“. ვლადიმერ ნაჭყებიას თაოსნობით. წარმოდგენა იყო გამართული ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ სასარგებლოდ, რომელზედაც იყო მოწვეული ხსენებული ჟურნალის რედაქტორი პატივცემული იოსებ იმედაშვილი. აქ აღნიშნულ დროზე ჩამობრძანდა ბ. იმედაშვილი, რომლის ჩამოსვლას დიდი აღტაცებით შეხვდენ სცენის მოყვარეები, მიეგებენ მას დოლის დაკვრით და ტაშის ცემით. გაეცნო თუ არა ის ყველა ადგილობრივ სცენის მოყვარეებს, მაშინათვე გადაღებულ იქმნა მ.თი სურათი ბ იმედაშვილის თანადასწრებით. ამის შემდეგ მან დაათვალიერა ადგილობრივი კულტურული დაწესებულებანი, სხვათა შორის, ხეთის უმაღლეს დაწყებითი და ...კლასიანი ნორმალური სასწავლებლები, სადაც ხშირად იმართება წარმოდგენები. ამით იგი დარჩა ძალიან კმაყოფილი. ხალხი ბლომად დაესწრო ამ წარმოდგენას, სანამ დაიწყებდენ, მასწავლებელმა დორ. კიტიამ დამსწრეთმეგრულად აუხსნა იოსებ იმედაშვილის ვინაობა და დამსახურება. შემდეგ ბ. იმედაშვილმა წაიკითხა ლექცია „ცხოვრება და ხელოვნება“ და „ქართველი მეომარი ძველად და ახლა.“ ხალხი სამარისებური სიჩუმით უსმენდა მას. ბოლოს მან აუხსნა საზოგადოებას რა სიძნელეს წარმ ადგენს მოუწყობელი სცენაზე ასეთი პიესის დადგმა და მოუწოდა მათ ამ გვარი დაბრკოლებების ასაშორებლად ეზრუნათ სახალხო სახლის შეძენაზე. დამსწრე საზოგადოება დიდად ნასიამოვნები და კმაყოფილი დარჩა მოხსენებით და თანხმობაც გამოაცხადეს სახალხო სახლის შეძენის შესახებ. ამის შემდეგ გა-მართა წარმოდგენა, რომელიც დამთავრდა კმასაყოფილად. წარმოდგენის გათავების შემდეგ ამერიკულ აუკციონში გაიყიდა იმედაშვილის ლექსიკონი რვაას მანეთად, რომელიც შეინარჩუნა ბ. სევერიანე ბუკიამ. ბოლოს გაიმართა ცეკვა-თამაში და ჩვეულებრივი ვახშამი, რომელიც დამთავრდა მშვენივრად. წმინდა შემოსავალი იყო ორი ათას ხუთას სამოცი მანეთი (2560 მ.) რომელიც ჩააბარეს ბ. იმედაშვილს, მან მადლობა უძღვნა სცენის მოყვარეებს, გამოეთხოვა და გაემგზავრა ქ. თბილისს. ხეთის სცენის მოყვარეებს არა ერთხელ გადუდგამს ასეთი ნაბიჯი ამ გვარ საქველმოქმედო საქმისთვის, რომელნიც მადლობის ღირსნი არიან, უსურვებ მათ წინსვლას და აყვავებას.

ე—ა

**ახალციხეში** დაარსდა სცენის მოყვარეთა დასი, ...შიაც იღებენ მონაწილეობას მსახიობი ქ. ერემოვის და ძველი თბილისის სცენის მოყვარე. ელ ჯაჯანაშვილი. დასს აზრათ აქვს მართოს ხოლმე ყოველ კვირა ქართული წარმოდგენა. 22 იან. იდგმება „მსხვერპლი“ დასმა ამოირჩია რეჟისორათ ელ. ჯაჯანაშვილი, გამგეობის თავმჯდომარეთ ექიმი ჯინჭველაძე, მის ამხანაგათ ლ. ფალავა, მდივნათ გ. თეთრაძე და ხაზინადრათ ქ. ერემოვისა. მცხოვრებლები თანაუგრძნობენ და მატერიალურათ მხარს უჭერენ.

**მეთვალყურე**

**მუნჩიაში** ს. ხეთის ერთ-ერთ კუთხეში 10 აგ. ბ-ნ ნ. ნაჭყებიას სახლში საქველმოქმედო მიზნით იდგმებოდა წარმოდგენა. ამ დროს ბბ-ნ ჭ. და ბ. კობახიძეებს, სანამ წარმოდგენა დაიწყებოდა თავის ძმა-ბიჭებით დუქანში გაუჩაღებიათ მამა-პაპური ქეიფი. როდეს ც წარმოდგენა დაიწყო მაშინ ატეხეს სროლა დარბაზის პირდაპირ... ამან ჩალხი აღაშფოთა, ატყდა აურ-ზაური, მაგრამ სროლა, რომ მიჰუჩდა ხალხი დამშვიდდა... სამწუხაროდ დამშვიდება ხან-მოკლე იყო, რადგან ისევ შეიქნა უფრო მკაცრი სროლა და მიუხედავად ყოველნაირ ზომებისა სროლა არ შემწყდარა ღამის 12 ს-დი.

როგორც შემდეგ გამოირკვა მიზეზი, საქმე შემდეგში ყოფილა: თურმე ბ-ნ ჭ. კობახიძე უკმაყოფილოდ ყოფილა ბ-ნ ნ. ნაჭყებიაზე და რომ ეზღო მაგიერი ამ „რაინდულ“ ხერხს მიმართა!.. სწორედ ამაზე იტყვიან „უგუნურმა მხედარმა ცხენს ვერაფერი დააკლო და უნაგირს დაუწყო მტვრევაო“. ბ-ნ ჭ. კობახიძემ არამც თუ ამით ავნო ბ ნ ნაჭყებიას, არამედ თავის საზიზღარ მოქმედებით ზიანი მიაყენა თვითონ იმ ადამიანს, რომლის თვისაც ეს წარმოდგენა იმართებოდა.

დეე საზოგადოებამ დასდოს მსჯავრი მის საქციელს, თვითონ კი მოიგონოს რომ „ტარიელ მკლავაძე“ დიდი ხანია დამარცხებული და შეჩვენებულია.

**შხამი**

**სუფსის** სცენის მოყვარეთა წრემ იან. 4 გამართა თეატრი და ცხოვრება-“ს საღამო. საგანგებოდ გამოწვეულმა იოსებ იმედაშვილმა წაიკითხა ორი ლექცია „ცხოვრება და ხელოვნება“ და „ქართველი მეომარი ძველად და ახლა“ (ქართველი ქალის ნაღვაწი). ადგილობრივმა დრ. წრემ მაწავ. ს. გიორგობიანის რეჟისორობით წარმოადგინა გოგიას პიესა „ნეტავ სიზმარი იყოს!“ დასასრულ ს. გიორგობიანმა მოხდენით წაიკითხა სცენა „წერილი ჩიბურდანიძეს“. იყო სხვადასხვა გასართობები. პიესაში მონაწილეობდენ: მასწ. ს. გიორგობიანი, მოწ. თამარ ურუშაძე, ილ. მეგრელაძე, ნ. ბარამიძე, არ. სალუქვაძე, ო. კობახიძე. დაესწრო დიდძალი საზოგადოება, რომელმაც მხურვალე ტაშით დააჯილდოვა ყველა მონაწილენი. საღამოზე ამერიკულ აუკციონით გაიყიდა 1350 მ. იოსებ იმედაშვილის „უცხო სიტყვათა ლექსიკონი“. საღამოს მოწყობ სა და რიგიანად ჩატარებაში ზემორე პირთა გარდა, ხელს უწყობდენ: თამარ მჟავანაძე, ქეთო ნაკაიძე, ვერა კაჭ ღმაძე, წრის თავმჯდ. სერაფიონ გურგენიძე და სხ. შემოსავალი 4000 მანათამდე დარჩა, საიდანაც არც ერთი კაპ. არავის აუღია, სრულიად რედაქციას გადასცეს. დიდი მადლობის ღირსია ადგილობრივი დრ. წრე და საზოგადოება.

**მგზავრი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წვრილი ამბები

**დღეს დრამატ. საზ-ის** კრებაა სამეურნეო ბანკის დარბაზში.

**საქართველოს კოოპერატივთა** ცენტრალურმა კავშირმა გადასწყვიტა სასოფლო-სამეურნეო საკოოპერაციო და სხვა ცხოვრების სურათები გააცნოს საზოგადოებას კინემატოგრაფის საშუალებით. ამ მიზნით მიიწვია გერ. გოგიტიძე და ფიქრობს ეს დარგი კარგს ნიადაგზე დააყენოს. შეიძინა დიდძალი ქონება. კავშირის თავმჯდომარე ევ. დარჩია საზღვარგარედ გაემგზავრა და თან წაიღოს მასალა საგანგებო ქარხანაში კინემატოგრაფიულ არშიების გადასაღებად

**იაკობ ზედგინიძის** ახალი ქართული ანბანი იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა. იბეჭდება მისივე „მეთოდიური სახელმძღვანელო ანბანის სწავლებისთვის,"—უკვე გამოვიდა მისი რუსული სახელმძღვანელო „მეთოდიური ქრისტომატია" II ნაწ. ახალი ორთოგრაფიით

**ლანჩხუთის ქალაქის** მოურავის ვიქტორ შარაშენიძის თაოსნობით ადგენენ გეგმას ახალი თეატრის ასაგებად. თეატრის აგება ფართო მასშტაბითაა განზრახული. ვუსურვებთ ეს აზრი დროით განეხორციელებინოთ.

**სუფსის დრამ. წრის გამგეობას**, თემსა და ადგილობრივ მოწინავე საზოგადოებას განუზრახავს სახალხო სახლი ააგოს სადგურის მახლობლად. ამისთვის ცოტაოდენი თანხაც ჰქონიათ შეკრებილი, მაგრამ საშინელი სიძვირის გამო ჯერ საქმე ვერ დაუწყვიათ, ხალხი ძლიერ ეტანება წარმოდგენა-ლექციებს, ამისათვის კი საჭიროა რიგიანი დარბაზი. საჭიროა ერობამ დახმარება აღმოუჩინოს. დრამ. წრის გამგეობაში ირიცხებიან: ქრ. გიორგაძე, ნეოფიტე ბარამიძე, დავ. ჩხარტიშვილი, ალ. ჭყონია, კ. ალექსიშვილი. ბ. გურგენიძე, ვ. ვასაძე, ილ. გუბუტია, ვლ. მეგრელაძე.

**ახალი ორიგინალური ოპერეტა** ვანო გიგოშვილი აღმოსავლეთ ჰანგისათვის ჰმართავს იოსებ იმედაშვილის ალეგორია „ქორწილს". ოპერეტა, თურმე, მომხიბლავი მოსასმენია. დაიდგმის დედა ქალაქის ერთ-ერთ თეატრში ავტორისა და გიგოშვილის ხელმძღვანელობით აღმოსავლეთის ორკესტრის მონაწილეობით შემდეგ პროვინციას გაემგზავრებიან

— **საოპერო სტუდიაში** თამარ მეფის პარტიის შესასრულებლად მოწვეულია საოპერო ახალგაზრდა მომღერალი—სოპრანო ოლღა წერეთელი.

— **ი. ზარდალიშვილს** შეუსრულდა ოცი წელი მოღვაწეობისა

— **ნიკ. გერგესლის** პიესა „ნილაბ ქვეშ დაიდგა მუშათა კლუბში დაწვ შემდეგ

—**მოქ ი. ნიკოლაძემ** დაამთავრა ნოე ჟორდანიას ბიუსტი.

— **საქართველოს დამოუკიდებლობის** აღსანიშნავად განზრახულია დაიდგას ძეგლი რუსთველის პროსპ.

— **დ. კლდიაშვილის** იუბილე გაიმართება თებერვლის 15 სახელმწიფო თეატრში. დღესასწაული ფირთო ხასიათს მიიღებს.

— **კ. გერგესელმა,** გადააკეთა ა. ყაზბეგის მოთხრობა „ელეონორა" სამ მოქმედებიან დრამად.

-- **სვ. წერეთელმა** დასწერა კომედია 4 მოქ „ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი". სიუჟეტი აღებულია ქართველ სტუდენტთა ცხოვრებიდან რუსეთში.

— დღეს დიდუბის პანთეონში მოღვაწეთა პანაშვიდია.

— **ავად გახდნენ** ეფემია მესხი და კომპ ვიქ. დოლიძე



**იუზა ზარდალიშვილი**

ნახაზი პიესა „სიმახინჯე,"—დან.—სასცენო მოღვაწეობის 20 წლის შესრულების გამო.

— **სრულიად საქართველოს სცენის მოღვაწეენო!** „თეატრი და ცხოვრება" თქვენი ჟურნალია, თუ გსურთ შეუჩერებლივ, გამოდიოდეს დაეხმარეთ ნივთიერად და ზნეობრივად.

**შემოწირულება**

„თეატრი და ცხოვრების" ფონდის გასაძლიერებლად შემოსწირეს 1. აკეთის კოოპერატივმა 250 მან. 2 ექ. ილია დიმ ბეგთაბეგიშვილმა—150 მან ; ჳ, მასწავლებელმა ქალმა ელენე მარინაშვილმა (მუხრანიდან)—200 მ. 4. ტასო ხმალაძისამ - 25 მ. 5, გ. ნ. დიასამიძემ 500 მ.

**სუფსაში ჟურ. „თეატრი და ცხოვრებ-"ს საღამოზე** შემოსწირეს ხუთ-ხუთი თუმანი: ნოე კანდელაკმა, ბ. ჭანტურიამ, იესე კეჭელმაძემ, ნიკ რუსიძემ, ლადიკო მოისრაფეშვილმა; სამი თუმანი: დოდ... ნაკაიძემ; ოცდა ხუთ ხუთი მან : იესე გაბეჩავამ, გიორ გურიელმა, იოსებ შალამბერიძემ, კირილე მეგრელიშვილმა, ილ. ხობუტიამ; ორი თუმანი: ილ ლომაძემ; თხუთმეტ თხუთმეტი მან. ნ. კეჭელმაძემ, პავ. ჩხარტიშვილმა, ... მეგრელაძე, ათ ათი მან : მელ. ტურაძემ, შალ. კალანდაძემ, ერ. დარჩიამ, გ. ჩხარტიშვილმა, ლაზ. გურგენიძემ, მიხ მოისრაფეშვილმა, გრ კობახიძემ, სიმ ბარამიძემ, ის ბაქანიძემ 6 მ აკ ურუშაძემ; ხუთ-ხუთი მან. საში ნაკაიძემ, ფილ. გარაყანიძემ, კ ქიქოძემ, სოლომონ არონიშიძემ და აქ. ნაკაიძემ. - სულ 491 მან.

შემომწირველთ რედაქცია გულითად მადლობას უძღვნის.

**რედ.**


განცხადებანი მიიღება ჟურნალში დასაბეჭდ. **ფასი ზომიერია**

კახური ღვინის საწყობი

„სინათლე"

ვ. გიგოშვილის და ჯოხაძესი

ოლღას ქუჩა, 7. ტელ. 4-36.

СКЛАДЪ КАХЕТИНСКИХЪ ВИНЪ

„СИНАТЛЕ"

И. ГИГОШВИЛИ и ДЖОХАДЗЕ

ТИФЛИСЪ, Ольгинск 7. Тел. 4-36. №


რედაქტორ-გამომცემელი **იოსებ იმედაშვილი.**

... № 26.